

შპს სი-სი-ი-ეიჰ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს სი-სი-ი-ეიჰ ჰაიდრო VIII

**ფინანსური ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

სარჩევი

|                                                               |   |
|---------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                       | 2 |
| მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....              | 5 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....          | 9 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

31.12.2024

31.12.2023

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

**აქტივები**

**გრძელვადიანი აქტივები**

|                                  |   |                   |                   |
|----------------------------------|---|-------------------|-------------------|
| ძირითადი საშუალებები             | 1 | 4 942 104         | 5 103 434         |
| ინვესტიციები                     |   |                   | -                 |
| არამატერიალური აქტივები          | 2 | 7 515 382         | 7 823 746         |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b> |   | <b>12 457 486</b> | <b>12 927 180</b> |

**მიმდინარე აქტივები**

|                               |   |                   |                   |
|-------------------------------|---|-------------------|-------------------|
| საგადასახადო აქტივები         |   | -                 | 58 100            |
| მარაგები                      |   | 21 560            | 21 868            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | 3 | 291 628           | 210 908           |
| ფული და ფულის ეკვივალენტები   | 4 | 247 346           | 73 711            |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b> |   | <b>560 534</b>    | <b>364 587</b>    |
| <b>სულ აქტივები</b>           |   | <b>13 018 020</b> | <b>13 291 767</b> |

**კაპიტალი და ვალდებულებები**

**კაპიტალი**

|                      |  |                  |                  |
|----------------------|--|------------------|------------------|
| საწესდებო კაპიტალი   |  | 4 158 505        | 4 158 505        |
| გაუნაწილებელი მოგება |  | (1 808 085)      | (167 815)        |
| <b>სულ კაპიტალი</b>  |  | <b>2 350 420</b> | <b>3 990 690</b> |

**ვალდებულებები**

|                                       |          |                   |                  |
|---------------------------------------|----------|-------------------|------------------|
| გრძელვადიანი ვალდებულებები            |          |                   |                  |
| <b>სესხი</b>                          | <b>5</b> | <b>10 658 170</b> | <b>9 283 479</b> |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>10 658 170</b> | <b>9 283 479</b> |

**მიმდინარე ვალდებულებები**

|                                      |  |                   |                   |
|--------------------------------------|--|-------------------|-------------------|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        |  | 7 019             | 17 599            |
| საგადასახადო ვალდებულება             |  | 2 411             | -                 |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>   |  | <b>9 430</b>      | <b>17 599</b>     |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |  | <b>13 018 020</b> | <b>13 291 768</b> |

**დირექტორები**

ირაკლი აბაიშვილი, გიგლა სიხარულიძე

29 სექტემბერი 2025 წელი

თბილისი, საქართველო

6 - 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                 |          | 31.12.2024         | 31.12.2023       |
|-------------------------------------------------|----------|--------------------|------------------|
| <b>ამონაგები</b>                                | <b>6</b> | 2 182 179          | 2 035 991        |
| გადაცემის ხარჯები                               |          | -                  | -                |
|                                                 |          | -                  | -                |
| დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი        | <b>7</b> | (725 685)          | (768 271)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                            |          | (794 211)          | (769 614)        |
| შეძენილი მომსახურების ხარჯი                     | <b>8</b> | (239 398)          | (323 972)        |
| საგადასახადო ხარჯი                              |          | (86 581)           | (70 898)         |
| სხვა ხარჯები                                    |          | (25 442)           | (39 880)         |
| <b>მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან</b>   |          | <b>310 862</b>     | <b>63 356</b>    |
| საპროცენტო ხარჯი                                |          | (1 123 172)        | (969 393)        |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) |          | (835 935)          | 222 251          |
| სხვა შემოსავალი                                 |          | 7 974              | 20 128           |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                       |          | <b>(1 640 271)</b> | <b>(663 658)</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                       |          | -                  | -                |
| <b>წმინდა მოგება</b>                            |          | <b>(1 640 271)</b> | <b>(663 658)</b> |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>                    |          | <b>(1 640 271)</b> | <b>(663 658)</b> |
| <b>სრული შემოსავალი</b>                         |          | <b>(1 640 271)</b> | <b>(663 658)</b> |

დირექტორები

ირაკლი აბაიშვილი, გიგლა სიხარულიძე

29 სექტემბერი 2025 წელი  
თბილისი, საქართველო

6 - 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                       | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ              |
|---------------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------|
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>3 368 345</b>      | <b>495 845</b>          | <b>3 864 190</b> |
| საწესდებო კაპიტალის<br>ზრდა/შემცირება | 790 160               | -                       | 790 160          |
| წლის სრული შემოსავალი                 | -                     | (663 660)               | (663 660)        |
| გაცემული დივიდენდი                    | -                     | -                       | -                |
|                                       | -                     | -                       | -                |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>4 158 505</b>      | <b>(167 815)</b>        | <b>3 990 690</b> |
| საწესდებო კაპიტალის<br>ზრდა/შემცირება | -                     | -                       | -                |
| წლის სრული შემოსავალი                 | -                     | (1 640 271)             | (1 640 271)      |
| გაცემული დივიდენდი                    | -                     | -                       | -                |
|                                       | -                     | -                       | -                |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>4 158 505</b>      | <b>(1 808 085)</b>      | <b>2 350 420</b> |

**დირექტორები**

ირაკლი აბაიშვილი, გიგლა სიხარულიძე



29 სექტემბერი 2025 წელი

თბილისი, საქართველო

6 – 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

### შესავალი

#### 1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII“ (ს/კ 404620460) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 2021 წლის 01 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გიორგი ლეონიძის ქუჩა, N 2ა, სართული 3, ფართი N5. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის წილის 100%-ის მფლობელი არის: აქციებით შეზღუდული კერძო კომპანია: კავკასუს ქლინ ენერჯი, ჰოლდინგზ პტე. ლიმიტედი, 201532830D /სინგაპური/.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია.

#### 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

##### მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6-6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

##### ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ

## შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII (თანხები მოცემულია ლარში)

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

### **ფული და ფულის ქვივალენტები**

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### **წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა**

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|           | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|-----------|------------|------------|
| 1 USD/GEL | 2.8068     | 2.6894     |
| 1 EUR/GEL | 2.9306     | 2.9753     |

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

### **წინასწარ გადახდები**

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

**ცვეთა**

მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, კომპანია, საკმიანობიდან გამომდინარე, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს, რომელიც ნათლად ასახავს აქტივების მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

ძირითადი საშუალების სხვა ერთეულების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

სასარგებლო მომსახურების ვადა

|                                 |            |
|---------------------------------|------------|
| შენობა-ნაგებობები               | 20-25 წელი |
| მანქანა-დანადგარები             | 10 წელი    |
| ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი | 3-5 წელი   |
| ავტოსატრანსპორტო საშუალება      | 10 წელი    |

**ფინანსური ინსტრუმენტები**



შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

### **სასაქონლო მატერიალური ფასეულობები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### **მოვების გადასახადი**

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

**პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები**

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

**საწესდებო კაპიტალი**

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები**

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება                  | მიწა          | დაუმთავრე<br>ბელი<br>მშენებლობა | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარე<br>ბი | ოფისის<br>აღჭურვილობ<br>ა და<br>ინვენტარი | ავტოსატრან<br>სპორტო<br>საშუალება | სხვა           | სულ:               |
|---------------------------------------|---------------|---------------------------------|-----------------------|-----------------------------|-------------------------------------------|-----------------------------------|----------------|--------------------|
| <b>ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>99 252</b> | <b>305 460</b>                  | <b>2 343 355</b>      | <b>2 186 447</b>            | <b>69 133</b>                             | <b>90 250</b>                     | <b>43 710</b>  | <b>5 137 606</b>   |
| შემოსვლა                              | -             | 2 555 182                       | 2 249 722             | 187 818                     | 43 983                                    | -                                 | 40 340         | 5 077 044          |
| გასვლა                                | -             | (2 860 641)                     | -                     | -                           | -                                         | -                                 | -              | (2 860 641)        |
| <b>ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>99 252</b> | <b>-</b>                        | <b>4 593 076</b>      | <b>2 374 265</b>            | <b>113 115</b>                            | <b>90 250</b>                     | <b>84 050</b>  | <b>7 354 009</b>   |
| შემოსვლა                              | -             | -                               | 446                   | 224 053                     | 361                                       | -                                 | 66 007         | 290 867            |
| გასვლა                                | -             | -                               | -                     | -                           | -                                         | -                                 | -              | -                  |
| <b>ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>99 252</b> | <b>-</b>                        | <b>4 593 523</b>      | <b>2 598 318</b>            | <b>113 477</b>                            | <b>90 250</b>                     | <b>150 057</b> | <b>7 644 876</b>   |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                |               |                                 |                       |                             |                                           |                                   |                |                    |
| <b>ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>-</b>      | <b>-</b>                        | <b>(592 780)</b>      | <b>(1 192 434)</b>          | <b>(18 361)</b>                           | <b>(14 277)</b>                   | <b>(1 085)</b> | <b>(1 818 936)</b> |
| წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა     | -             | -                               | (255 019)             | (139 535)                   | (9 850)                                   | (13 414)                          | (13 820)       | (431 638)          |
| გასული ძირითადი საშუალების ცვეთა      | -             | -                               | -                     | -                           | -                                         | -                                 | -              | -                  |
| <b>ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>-</b>      | <b>-</b>                        | <b>(847 799)</b>      | <b>(1 331 969)</b>          | <b>(28 211)</b>                           | <b>(27 691)</b>                   | <b>-</b>       | <b>(2 250 575)</b> |
| წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა     | -             | -                               | (292 823)             | (120 112)                   | (10 884)                                  | (13 523)                          | (14 855)       | (452 197)          |
| გასული ძირითადი საშუალების ცვეთა      | -             | -                               | -                     | -                           | -                                         | -                                 | -              | -                  |
| <b>ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>-</b>      | <b>-</b>                        | <b>(1 140 622)</b>    | <b>(1 452 081)</b>          | <b>(39 095)</b>                           | <b>(41 214)</b>                   | <b>-</b>       | <b>(2 702 772)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>    |               |                                 |                       |                             |                                           |                                   |                |                    |
| <b>ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>99 252</b> | <b>305 460</b>                  | <b>1 750 575</b>      | <b>994 013</b>              | <b>50 772</b>                             | <b>75 973</b>                     | <b>42 625</b>  | <b>3 318 670</b>   |
| <b>ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>99 252</b> | <b>-</b>                        | <b>3 745 278</b>      | <b>1 042 296</b>            | <b>84 905</b>                             | <b>62 559</b>                     | <b>84 050</b>  | <b>5 103 434</b>   |
| <b>ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>99 252</b> | <b>-</b>                        | <b>3 452 901</b>      | <b>1 146 236</b>            | <b>74 382</b>                             | <b>49 036</b>                     | <b>150 057</b> | <b>4 942 104</b>   |

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

2. არამატერიალური აქტივები

|                                |             |
|--------------------------------|-------------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>    |             |
| ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი | 8 533 347   |
| ზრდა                           | -           |
| ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი | 8 533 347   |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>         |             |
| ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი | (709 601)   |
| ამორტიზაცია                    | (308 364)   |
| ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი | (1 017 965) |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>    |             |
| ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი | 7 823 746   |
| ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი | 7 515 382   |

3. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

|                           | 2024           | 2023           |
|---------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო | 242 225        | 199 398        |
| გადახდილი ავანსები        | 49 403         | 11 510         |
| სხვა აქტივები             | -              | -              |
| <b>სულ</b>                | <b>291 628</b> | <b>210 908</b> |

4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

|                        | 2024           | 2023          |
|------------------------|----------------|---------------|
| ნაღდი ფული სალაროში    | 10             | 10            |
| ეროვნული ვალუტა ბანკში | 144 444        | 73 152        |
| უცხოური ვალუტა ბანკში  | 102 892        | 549           |
| <b>სულ</b>             | <b>247 346</b> | <b>73 711</b> |

5. სესხი

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII  
(თანხები მოცემულია ლარში)

|                                 | 2024              | 2023             |
|---------------------------------|-------------------|------------------|
| საბანკო სესხი                   | 10 448 757        | 8 837 591        |
| დარიცხული პროცენტი              | 209 413           | 445 888          |
| სესხები დაკავშირებული მხარისგან | -                 | -                |
| <b>სულ სესხები</b>              | <b>10 658 170</b> | <b>9 283 479</b> |

6. ამონაგები

|                         | 2024             | 2023             |
|-------------------------|------------------|------------------|
| ელექტროენერგიის გაყიდვა | 2 182 179        | 2 035 991        |
| სხვა შემოსავალი         | -                | -                |
| <b>სულ</b>              | <b>2 182 179</b> | <b>2 035 991</b> |

7. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი

|                       | 2024           | 2023           |
|-----------------------|----------------|----------------|
| ხელფასები             | 665 683        | 696 633        |
| ჯანმრთელობის დაზღვევა | 39 450         | 31 855         |
| სარგებელი             | 20 553         | 39 783         |
| <b>სულ</b>            | <b>725 685</b> | <b>768 271</b> |

8. შეძენილი მომსახურების ხარჯი

|                                            | 2024           | 2023           |
|--------------------------------------------|----------------|----------------|
| მივლინების ხარჯები                         | 21 972         | 48 092         |
| თანამშრომელთან ტრენინგება                  | 7 368          | 7 400          |
| ბანკის საკომისიო                           | 1 923          | 6 953          |
| სხვა ხარჯი                                 | 3 465          | 74 904         |
| გადაცემის ხარჯები                          | 9 897          | -              |
| იჯარის ხარჯი                               | 19 465         | 21 233         |
| ოფისის ხარჯი                               | 4 116          | 6 736          |
| კომუნალური ხარჯები                         | 1 013          | 2 433          |
| დაზღვევა                                   | 45 865         | 42 145         |
| კომუნიკაციის ხარჯები                       | 4 528          | 4 605          |
| შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი | 77 632         | 57 909         |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი           | 42 154         | 51 563         |
| <b>სულ</b>                                 | <b>239 398</b> | <b>323 972</b> |